



ელექტროენერგიის ბირჟაზე ვაჭრობის ანგარიში 2025 წლის II კვარტალი




ბირჟის მონაწილეები

2025 წლის მეორე კვარტალში ბირჟაზე, დღით ადრე ბაზარზე, ელექტროენერგიის მწარმოებელ მონაწილეთა სიას შეუერთდა 3 კომპანია - შპს „ლუჯ ფაუერ სოლუმნს“, შპს „სტორი ფაუერი“ და შპს „დმ ენერჯი“. შედეგად, 30 ივნისის მონაცემებით დღით ადრე აუქციონში მონაწილეობისათვის ბირჟაზე რეგისტრირებული იყო 24, ხოლო დღიურ ბაზარზე მონაწილეობისთვის - 17 მონაწილე.

ელექტროენერგიის ბირჟის მონაწილეთა სრული სია შეგიძლიათ იხილოთ ბირჟის ოპერატორის ვებგვერდზე - www.genex.ge. ნახაზზე №1 მოცემულია 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე დარეგისტრირებული მონაწილეების რაოდენობა.

ნახაზი №1. ბირჟის მონაწილეების რაოდენობა




ვაჭრობა

2025 წლის მეორე კვარტალში დღით ადრე ბაზარზე მონაწილეებმა ივაჭრეს 93 115 მგვტ.სთ ელექტროენერგია, რაც 2025 წლის პირველი კვარტლის ნავაჭრ რაოდენობას (1 789 მგვტ.სთ) თითქმის 52-ჯერ, ხოლო 2024 წლის მეორე ნახევარში ნავაჭრ რაოდენობას (17 494 მგვტ.სთ) - 5-ჯერ აღემატება. ნახაზზე №2 მოცემულია 2025 წლის II კვარტალში ვაჭრობის საათობრივი შედეგები. აპრილში საშუალოდ 150.94 ლარი/მგვტ.სთ ფასი დაფიქსირდა, რომელიც მნიშვნელოვნად შემცირდა მაისში (125.13 ლარი/მგვტ.სთ) და ივნისში (126.05 ლარი/მგვტ.სთ). ამავდროულად, მაისსა და ივნისში მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობა აპრილთან შედარებით.

თვის განმავლობაში ფასები მნიშვნელოვნად არ იცვლება. აღნიშნულის მიზეზი გახლავთ ფაქტი, რომ როგორც ელექტროენერგიის მყიდველები, ისე გამყიდველები, საორიენტაციოდ იღებენ მიმდინარე თვისთვის მოსალოდნელ საბალანსო ელექტროენერგიის ფასს, მოლოდინები კი თვის განმავლობაში, როგორც ჩანს, ძირითადად, უცვლელია. მყიდველების და გამყიდველების შეთავაზებული ფასები უმეტესად არის ერთმანეთთან ახლოს. შესაბამისად, არსებობს ფასის ძალიან მცირე ინტერვალი, რომლის ფარგლებშიც შეიძლება შედგეს ტრანზაქცია.




ნახაზი №2. 2025 წლის II კვარტალში დღით აღრე ბაზარზე ვაჭრობის შედეგები



2025 წლის 6 მაისს დღიურ ბაზარზე შედგა პირველი ტრანზაქცია. ნავაჭრმა რაოდენობამ შეადგინა 381.6 მგვტ.სთ, ხოლო ფასი ჩამოყალიბდა 125 ლარი/მგვტ.სთ.

მიუხედავად იმისა, რომ დღიური ბაზარი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, მასზე აქტიურობა დაბალია. დღიური ბაზარი მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, მოკლევადიან სიგნალებზე რეაგირებით მიიღონ სარგებელი. რადგან არსებულ მოდელში არ არსებობს საათობრივი დაბალანსების ვალდებულება და ფასები ძირითადად უცვლელია დღის განმავლობაში, მონაწილეებს აქვთ მცირე მოტივაცია აქტიურად ივაჭრონ დღიურ ბაზარზე.


ნახაზი №3. 2025 წლის II კვარტალში დღიურ აღრე ბაზარზე ვაჭრობის შედეგები



მონაწილეთა აქტიურობის ზრდა შესაძლოა რამდენიმე მიზეზს დაუკავშიროთ. მოთხოვნის მხარეზე მოქმედ ფაქტორთაგან შეიძლება გამოვყოთ ვაჭრობის ისტორიის შექმნა, რომელიც ადასტურებს ელექტროენერგიის ბირჟაზე ვაჭრობის ფინანსურ სარგებლიანობას. ამავდროულად, სისტემის ოპერატორებს, რომლებიც შესყიდვის მხარეს დღით ადრე ბაზარზე რეგისტრირებული მონაწილეების 25% წარმოადგენენ, კომისიის მიერ „ელექტროენერგიის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში“ 2024 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილების შედეგად, მიეცათ ბირჟაზე ვაჭრობით დამატებითი სარგებლის მიღების შესაძლებლობა, რაც ამ პერიოდიდან ახალისებს მათ მონაწილეობას.

ვაჭრობის გააქტიურების უმთავრესი მიზეზი კი იყო მწარმოებლების მზადყოფნა, მყიდველისთვის მისაღებ ფასად შეეთავაზებინა ელექტროენერგია. ნახაზზე №4 მოცემულია ელექტროენერგიის რაოდენობა, რომლის ბირჟაზე შეთავაზების უფლება ჰქონდათ ელექტროენერგიის მწარმოებლებს. როგორც ნახაზიდან ჩანს, ეს რაოდენობა იზრდება აპრილიდან. აღნიშნული გამოწვეულია ერთი მხრივ გაზრდილი ელექტროენერგიის გამომუშავებით ჰიდროელექტროსადგურების მიერ, ხოლო მეორე მხრივ, მწარმოებლებთან გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების შეჩერებით „ზაფხულის“ პერიოდში.

ნახაზი №4. ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ელექტროენერგიის რაოდენობა




წყარო: www.esco.ge გაანგარიშებისას მხედველობაში არ არის მიღებული ის ვარციხეჭის და ჟინვალჭის შედეგები.

ზამთრის პერიოდთან შედარებით, ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა ღერეგულირებული ელექტროსადგურებისთვის ართულებს მის გაყიდვას ზაფხულში. ელექტროენერგიის ნაწილი, რომლის დაკონტრაქტებაც ვერ ხერხდება, სავალდებულო წესით, იყიდება როგორც საბალანსო ელექტროენერგია, რომლის შემსყიდველიც არის ესკო. ნახაზზე №5 მოცემულია საბალანსო ელექტროენერგიის და ესკოს მიერ ღერეგულირებული ელექტროსადგურისგან შესასყიდი ელექტროენერგიის ფასი. თუ ზამთრის პერიოდში



განსხვავება საშუალოდ 35 ლარი/მგვტ.სთ შეადგენს, მაისი-აგვისტო პერიოდში ეს განსხვავება საშუალოდ 115 ლარი/მგვტ.სთ-საც კი აღწევს. შესაბამისად, დაუკონტრაქტებელი ელექტროენერგიით გამოწვეული რისკი და მოსალოდნელი ხარჯი მკვეთრად იმატებს მაისი-აგვისტო პერიოდში. აღნიშნულ პერიოდში ბირჟაზე ჩნდება ელექტროენერგიის გამჭვირვალე წესით გაყიდვის შესაძლებლობა.

ნახაზი №5. დერეგულირებული ელექტროსადგურისა და საბალანსო ელექტროენერგიის ფასები




წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გაზრდილი აქტივობა გამოისახა მიწოდებისა და მოთხოვნის ზრდაში. ნახაზზე №6 ასახულია 2025 წლის II კვარტლის საათობრივი ჯამური მოთხოვნა და მიწოდება, ასევე ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობა. როგორც ნახაზიდან ჩანს, მოთხოვნა არის სტაბილური და აქვს ქვეყნის ჯამური საათობრივი მოთხოვნის მსგავსი პროფილი. მიწოდება განსხვავებულია დღეების მიხედვით, თუმცა არა საათობრივ ჭრილში, რაც ბუნებრივად ასახავს დაგეგმილ წარმოებას.

როგორც ნახაზი №6 გვიჩვენებს, მოთხოვნა უმეტესად აჭარბებს მიწოდებას (როგორც მაგალითად B სექციაში), თუმცა მაისსა და ივნისში იყო დღეები, როდესაც მიწოდება სჭარბობდა მოთხოვნას (როგორც მაგალითად C სექციაში). მოთხოვნისა და მიწოდების არსებობა აუცილებლად არ ნიშნავს, რომ ტრანზაქცია შედგება - ამის აუცილებელი წინაპირობა მყიდველებისა და გამყიდველების ფასზე შეთანხმებაა. მაგალითად სექცია A-ში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა უფრო მეტი ელექტროენერგიის ყიდვისა და გაყიდვის სურვილი, სრულად არ მოხდა ვაჭრობის შესაძლებლობის რეალიზება. აღნიშნულის მიზეზი გახლდათ ფასი - ელექტროენერგიის მყიდველები არ იყვნენ მზად გადაეხადათ იმდენი, რომ სრულად შეესაბამებოდათ ელექტროენერგია.



ნახაზი №6. დღით ადრე ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება




ნახაზზე №7 მოცემულია შერჩეული საათებისთვის მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები. A შემთხვევაში, მყიდველებმა შეიძინეს ელექტროენერგია, რომელიც იყო შეთავაზებული 125 ლარი/მგვტ.სთ ფასად, თუმცა ისინი არ იყვნენ მზად გადაეხადათ 132 ლარი/მგვტ.სთ, რის გამოც, განაცხადების ნაწილი დარჩა ბაზარს მიღმა. B შემთხვევაში, მყიდველებმა სრულად ვერ შეისყიდეს გამყიდველების მიერ შეთავაზებული ელექტროენერგია. C შემთხვევაში პირიქით, გამყიდველებმა ვერ შეძლეს სრულად გაეყიდათ შეთავაზებული ელექტროენერგია სათანადო მოთხოვნის არარსებობის გამო.


ნახაზი №7. მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები შერჩეული საათებისთვის

აღნიშვნები შეესაბამება №6 ნახაზზე მოცემულ A, B და C სეფციებს


A: 04-05-2025 : 19:00



B: 19-06-2025 : 19:00



C: 13-05-2025 : 19:00




ნახაზზე №8 წარმოდგენილია თვეების მიხედვით აგრეგირებული მოთხოვნა და მიწოდება, დაყოფილი გაყიდულ და გაუყიდავ კომპონენტებად. ნახაზი ცხადყოფს, რომ




კვარტლის განმავლობაში აგრეგირებული მიწოდება ბევრად აღემატება მოთხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ დროის მცირე მონაკვეთში განსხვავებული დინამიკა დაფიქსირდა.

ნახაზი №8. განაცხადით განთავსებული და ვაჭრობის შედეგები დღით აღრე ბაზრისთვის



2025 წლის II კვარტალში, წინა პერიოდების მსგავსად, ბირჟაზე ჩამოყალიბებული საშუალო ფასი საბალანსო ელექტროენერგიის ფასზე ნაკლები იყო. ნახაზზე №9 მოცემულია დღით აღრე ბაზრის საშუალო შეწონილი ფასის და საბალანსო ელექტროენერგიის ფასის შედარება 2025 წლის II კვარტლის თვეებისთვის.

ნახაზი №9. დღით აღრე ბაზრის საშუალო ფასი და საბალანსო ელექტროენერგიის ფასი



წყარო: www.esco.ge, საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

თუ საბალანსო ელექტროენერგიის ფასს ავიღებთ საორიენტაციოდ და შევადარებთ დღით ადრე ბაზრის ფასებს, 2025 წლის II კვარტალში ელექტროენერგიის მყიდველებმა ბირჟაზე ჯამურად 1,325,000 ლარით ნაკლები დახარჯეს ელექტროენერგიის შესყიდვაში.

